

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №20

12 ივლისი 2022 წ.

ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

წევრები- ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამი ოქროპირიძე, ირაკლი ნადირაძე, ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე, აკაკი ალადაშვილი.

სხდომა თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი -გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე-ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე-თამარ მელიქიშვილი.

სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე (#12-0322192133-03 11.07.2022)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (საკრ.№15-032218773-03; 11-012218766 6.07.2022წ; საკრ.№15-0322180125-03; 11-0122180282 29.06.2022წ)
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული ქონების პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-82 დადგენილებით დამტკიცებულ წესში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (საკრ.№12-032217448-03 24.06.2022)
4. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17173 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არეა დეველოპმენტისთვის“ (ს.ნ: 405476872) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“(№12-03221823-03 30.06.2022)
5. „ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩა N4-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი 13/035) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.05.013.035 საკადასტრო კოდით

რეგისტრირებული 4552 კვ. მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული შპს „იმობილიარესთვის“ (ს/ნ: 400324056) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“(№12-0322182115-03 01.07.2022)

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრადის ქუჩა N38-ში არსებული 1168 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.015.022) და ქალაქი თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებული 1 155 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.014.440) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“(№12-0322186111-03 05.07.2022)

7. „ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11 367 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.685) და 1 100 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.443) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (საკრ.№12-032216855-03 17.06.2022)

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება III მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ 1412 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.13.005.099) და ქ. თბილისში, სოფელ დიდლოში არსებული 7800 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.161) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე(№12-0322187131-03 06.,07.2022)

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქ. თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებული 6883 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.158) და ქ. თბილისში, დიდმის საცდელ მეურნეობაში არსებული 2846 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.682) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე(№ 12-032218872-03 7,07,2022)

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქ. თბილისში, აკადემ ქალაქის ტერიტორიაზე 6 436 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.132); ქ. თბილისში, აკადემ ქალაქის ტერიტორიაზე 4 969 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.134); ქ. თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N6ბ-ში 755 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.916); ქ. თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N6ბ-ში 102 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.917); ქ. თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N6გ-ში 549 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.236) და ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 1071 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.929) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე(№12-032218871-03 7.07.2022)

11. ქალაქ თბილისში, კრწანისის II შესახვევი, N24-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5400 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.014.209) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (№12-032218870-03 7.07.2022)

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქ. თბილისში, თვალჭრელიძის II შესახვევი N8-ის მიმდებარედ არსებული 2100 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.18.007.052) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-032218889-03 7.07.2022)

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“(№12-0322187135-03 06.07.2022)

14. „ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ქარხანა „მიონის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარე 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.13.02.003.052) ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „დიდუბე XXI“-ს (ს/ნ. 202063783) (უფლებამონაცვლე: შპს „მაქსტერმი“, ს/ნ. 237978113) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 2 ივნისის №ე-25-39-658 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“(საკრ.№12-0322116025-03 09.06.2022)

15. დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2009 წლის 26 ოქტომბრის №299 ოქმით გათვალისწინებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრ.№12-032215855-03 08.06.2022)

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2015 წლის 1 ივლისის „პირობებითგამოცხადებული აუქციონის“ №-273-17-15618 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-032218182-03 30.06.2022)

17. ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.041) და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 98 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის“ (ს/ნ: 203842333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე(საკრ.№12-032216855-03 17.06.2022)

18. ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N24-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 337 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ: 01.14.11.030.044) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნამუსთვის“ (ს/ნ: 405269301) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე(№12-0322182114-03 01.07.2022)

19. ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (ნაკვეთი N04/012, საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე(№12-0322187133-03 06.07.2022)

20. ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N104-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.105.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(№12-0322187133-03 06.07.2022)

21. „ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალას მიმდებარედ არსებული 461 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.16.23.188) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“(საკრ.№12-0322175106-03 25.06.2022)

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილის ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N112-ში მდებარე 44 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.11.023.015) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (№12-03221882-03 07.07.2022)

23. ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N101ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.025.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(N№12-032218068-03 29.06.2022)

24. ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N56/ ვაჟა-ფშაველას გამზირი, I კვარტლის კორპუს N17-ში მდებარე 12.51 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.03.009.006.01.003) და 19.58 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.03.009.006.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(N№12-032218068-03 29.06.2022)

25. ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის I შესახვევის N5-ში არსებული 56.23 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.026.027.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (N№12-032218068-03 29.06.2022)

26. ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(N№12-032218068-03 29.06.2022)

27. ქალაქ თბილისში, გლდანის მე-3 მიკრორაიონის კორპუს N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.033.01.019) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“(N№12-032218083-03 29.06.2022))

28. ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირის მე-5 კვარტლის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.35.004.017.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“(N№12-032218083-03 29.06.2022)

29. ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩაზე კორპუსი N33-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.046) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (N№12-032218083-03 29,06.2022)

30. ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის I ჩიხი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“(N№12-032218083-03 29.06.2022)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

მომხსენებელი-გაიოზ თალაკვაძე

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება ფაქტიურად მიღებული შემოსავლების ბიუჯეტში ასახვით, კერძოდ: იზრდება გრანტების ნაწილში გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან - 1 017,5 ათასი ლარით (სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (ს/6205298211) მიერ სახაზინო ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთის და მიმდინარე წელს მიღებული შემოსავლის (სს „არდი დაზღვევას“ მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩარიცხული თანხები) ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხული თანხა). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 1 017,5 ათასი ლარით და შეადგენს 1 395 751,0 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) – 1 000,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 135,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 495,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 200,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 400,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 700,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 300,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) – 145,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) – 22,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 60,0 ათასი ლარი, ქ.თბილისის საკრებულოს (კოდი 10 01) პროგრამის ასიგნება - 200,0 ათასი ლარი, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - 330,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 2 349,4 ათასი ლარით.

ამასთან, ბიუჯეტში ემატება ახალი ქვეპროგრამა - მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (კოდი 06 02 03) – 6,0 ათასი ლარი.

მცირდება გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) ქვეპროგრამის ასიგნებები – 400,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) – 600,0 ათასი ლარი, საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) – 1 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 135,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 700,0 ათასი ლარი, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) – 25,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 100,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) - 300,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) – 6,0 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 200,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) – 22,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) პროგრამის ასიგნება - 1 836,9 ათასი ლარი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ცვლილების პროექტით ასევე დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 1 ერთეულით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა - 30 ერთეულით, ხოლო ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა 6 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში გაიზარდა 37 ერთეულით და ჯამურად შეადგენს 4 027 ერთეულს.

მომხრე-7 წინააღმდეგი ანა გოგოლაძე, ირაკლი ნადირაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი - ლევან მიქავა

შესათანხმებლად წარმოდგენილია რაიონული გამგეობების და საქალაქო სამსახურების მიერ მოთხოვნილი წლიური და კვარტალური ცვლილებები.

კერძოდ: იზრდება პროგრამის: „ავარიული სახლების ჩანაცვლება“ (პროგრამული კოდი 02 12) წლიური ასიგნება, კლასიფიკაციის მუხლი „მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის

კლასიფიცირებული“, - 52300 ლარით, შესაბამისად მცირდება ამავე პროგრამის კლასიფიკაციის მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“.

იზრდება პროგრამის“ სპორტული დაწესებულებების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა“ (პროგრამული კოდი 08 06 04) ასიგნება 300 000 ლარით, თანხის გადმოტანა ხდება პროგრამიდან „სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია“ (პროგრამული კოდი 08 06 03).

იზრდება პროგრამის „საკონცერტო ორკესტრი „ბიგ ბენდი“ (პროგრამული კოდი 08 04 01) წლიური ასიგნება 205 700 ლარით, თანხა გადმოდის „ სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის“პროგრამიდან (პროგ.კოდი 08 02).

ასევე წარმოდგენილია რაიონული გამგეობების კვარტალური ცვლილება.

ნაძალადევის რაიონის „გზების მოვლა-შეკეთება“ (პროგ.კოდი 01 01 09) მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 162900 ლარით, მეოთხე კვარტლის შესაბამისად შემცირების ხარჯზე.

სამგორის რაიონის „გზების მოვლა-შეკეთება“ (პროგ.კოდი 01 01 15) მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 62 940 ლარით, მეოთხე კვარტლის გეგმის შესაბამისად შემცირებით.

„ბინათმსაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში“ (პროგ.კოდი 05 01 10) იზრდება 300 000 ლარით, რასაც აბალანსებენ დიდუბის რაიონის „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამის (პროგ.კოდი 02 09 12) მესამე კვარტლის შესაბამისად შემცირებით.

სარუხერვო ფონდის მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 400 000ლარით.

სულ გადასახდელები მესამე კვარტალში იზრდება 625 840 ლარით, რაც ბალანსდება ნაშთის ცვლილებით.

მომხრე-7 წინააღმდეგი ანა გოგოლაძე, ირაკლი ნადირაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საქალაქო სამსახურები და რაიონული გამგეობები ითხოვს, მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული ქონების პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-82 დადგენილებით დამტკიცებულ წესში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მომხსენებელი-თამარ მელიქიშვილი

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული ქონების პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-82 დადგენილების გამოცემის შემდეგ, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში განხორციელდა ცვლილება და აღნიშნულ დადგენილებას დაემატა შემდეგი შინაარსის 162 მუხლი:

„მუხლი 162. იმ ობიექტებზე, სადაც გადამეტებულია კ-1 ან/და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლები, საცხოვრებელი ფუნქციის დაშვებისას მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენება

1. იმ ობიექტებისთვის, სადაც გადამეტებულია კ-1 ან/და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლები, მათ შორის, იმ ობიექტებზე, სადაც ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების გათვალისწინებით საცხოვრებელი ფუნქცია არ იყო დასაშვები, შესაძლებელია საცხოვრებელი ფუნქციის განვითარების მიზნით ფუნქციური დანიშნულების ცვლილება, ამ მუხლით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.

2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით, ნამატი ფართის 4%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით), არანაკლებ 50 კვ.მ.-სა.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცესზე უფლებამოსილმა ორგანომ, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქონების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის მაძიებელთან მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

4. მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილმა ორგანომ, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მშენებლობის ნებართვის მაძიებელს მოსთხოვოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების წარმოდგენა.“.

როგორც მომხსენებლმა აღნიშნა, ვინაიდან, დადგენილება არ ვრცელდება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში დამატებულ 162 მუხლით გათვალისწინებულ რეგულაციაზე, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია მითითებული მუხლის ფარგლებში მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით გადმოცემული ქონების, დადგენილების შესაბამისად, პრივატიზების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტს შეეძლოს მითითებული ქონების პრივატიზება დადგენილებით გათვალისწინებული წესით, წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ითანხმებს ზემოაღნიშნულ დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ საკითხს.

მომხრე-7 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძე, ირაკლი ნადირაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის ფერდობზე, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17173 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული შპს „არეა დეველოპმენტისთვის“ (ს.ნ: 405476872) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“

მომხსენებელი-თამარ მელიქიშვილი

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით 2021 წლის 23 ივლისიდან 27 აგვისტოს ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამომხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის ფერდობზე, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, (ს/კ: 01.14.01.001.423) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ფართობი: 17173 კვ.მ.) პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამომხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების

ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა არაუმეტეს 2.1-ით (ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა-5), ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 3 650 კვ.მ-თ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ ინტერესთა ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განაცხადების წარმოდგენის ვადაში (2021 წლის 27 აგვისტო, 18:00 საათი), სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 6 დაინტერესებული სუბიექტის განაცხადი, რომელსაც თან ახლდა დალუქული კონვერტები. სააგენტოში წარმოდგენილი განაცხადების გახსნის თაობაზე, სააგენტოს 2021 წლის 31 აგვისტოს N6 ოქმით დგინდება, რომ შპს „არეა დეველოპმენტის“ - ს/კ: 405476872) 2021 წლის 26 აგვისტოს N10/0121238196-61 განაცხადზე დალუქული კონვერტით წარმოდგენილი საინვესტიციო წინადადება/ შეთავაზება (7600 კვ. მ. ფართი - თეთრი კარკასის მდგომარეობით) უპირატესი იყო სხვა დაინტერესებული სუბიექტების (ინვესტორების) მიერ წარმოდგენილ წინადადებებთან მიმართებით. ამასთან, კომპანიის მიერ წარმოდგენილი იყო ინტერესთა გამოხატვის 3.2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია 700 000 - შვიდასი ათასი - ლარის ოდენობით (სს „თიბისი ბანკის“ მიერ 2021 წლის 25 აგვისტოს გაცემული ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა საბანკო გარანტია N7519423-11548234) - ინტერესთა გამოხატვაში წარმოდგენილი წინადადების (შეთავაზების), ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს 2021 წლის 1 სექტემბრის №61-01212441825 წერილის თანახმად, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „არეა დეველოპმენტი (ს/კ: 405476872).

შესაბამისად, სააგენტომ განახორციელა სამშენებლო პროექტის ფარგლებში დასაკმაყოფილებლ პირთა სიის ფორმირება, რომელიც ძირითადად, განხორციელდა ტერიტორიულობის პრინციპისა და სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება (72 პირი), რომელთაც, კოოპერატიული ბინა უნდა აშენებოდათ ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე (საბურთალოს რაიონში) და რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია. ამასთან, მათ შორის რიგითობის განსაზღვრა განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ყოფილი N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის 3 წევრის დაკმაყოფილება სარეიტინგო ქულების გარეშე, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1987 წლის 13 აგვისტოს N20.47.512 გადაწყვეტილების მიხედვით, N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მიწის ნაკვეთი გამოყოფილი ჰქონდა ქ. თბილისში, ნუგუბიძის ქუჩის ფერდობების IV მიკრორაიონის მიმდებარედ (დღევანდელი მდგომარეობით, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.14.16.008.017). აღნიშნული კოოპერატივის უფლებამონაცვლე ამხანაგობის - „ნუგუბიძის პლატო 620“-ის თავმჯდომარემ - ირინა გეგეჭკორმა (პ/ნ: 01024023437), 2022 წლის 14 მარტს სააგენტოში წარმოადგინა განაცხადება, რომელითაც განმარტავს, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 72 წევრიდან კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროექტის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების ეგიდით სახელმწიფოსგან/ მუნიციპალიტეტისგან სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ სხვადასხვა დროს უძრავი ქონებით დაკმაყოფილდა 3 პირი: გალინა ვარდიაშვილი (პ/ნ: 01008047084) (ს/კ: N01.14.05.08.002.01.09 - ფართი 97 კვ.მ), ზაზა ლებანიძის (პ/ნ: 01030025051) უფლებამონაცვლე გიორგი ბედოიძე (პ/ნ: 01010017198) (ს/კ: N01.14.16.008.017.01.057 - ფართი 103.26 კვ.მ) და თეონა თოღაძე (პ/ნ: 60001018448) (ს/კ: N 01.19.39.004.002 მიწის ნაკვეთიდან თანასაკუთრებაში მიიღო 164.04 კვ.მ. მიწის წილი შემდგომში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან 82.02 კვ.მ ბინის - თეთრი კარკასის მდგომარეობით -

საკუთრებაში მიღების შესაძლებლობის გათვალისწინებით), ხოლო ამხანაგობის სხვა წევრების მიერ ფაქტობრივად დაკავებულია ის ფართები, რომელიც, მათ, როგორც კოოპერატივის წევრებს, უნდა გადასცემოდათ. მითითებულ მისამართზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ვერ დასრულდა, რის გამოც, უძრავი ქონების გარეშე დარჩენილია N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მხოლოდ 4 პირი. ამათგან, ერთმა წარმოადგინა სარეიტინგო ქულა, რომლითაც იგი რიგითობის მიხედვითაც იქნებოდა წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული.

თამარ მელიქიშვილმა მოხსენებით, განკარგულების დანართებით გათვალისწინებულმა კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

მომხრე-7, ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩა N4-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი 13/035) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.05.013.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4552 კვ. მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული შპს „იმობილიარესთვის“ (ს/ნ: 400324056) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“.

მომხსენებელი-თამარ მელიქიშვილი

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2021 წლის 3 დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამომხატვა – რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩა N4-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი 13/035) - N01.11.05.013.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ფართობი: 4552 კვ.მ.) პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამომხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა არაუმეტეს 4.2-ით (ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა-6), ხოლო ინტერესთა გამომხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 1 950 კვ.მ-თ.

აღნიშნული ინტერესთა გამომხატვის ფარგლებში განაცხადების წარმოდგენის ვადაში სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 1 (ერთი) დაინტერესებული სუბიექტის - შპს „იმობილიარეს“ (ს/კ: 400324056) დირექტორის, მიხეილ წამალაშვილის (პ/ნ: 01024036463) განაცხადი, რომელსაც თან ახლდა დალუქული კონვერტი. კომპანიის მიერ დასახელებული განაცხადით სრულად იქნა წარმოდგენილი ხსენებული ინტერესთა გამომხატვის 3.2 პუნქტით განსაზღვრული შემდეგი დოკუმენტაცია, მათ შორის, გადასაცემი ფართის შეთავაზება - 2000 კვ.მ ოდენობით, ასევე, სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია 1 500 000 ლარის ოდენობით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან

გამომდინარე, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „იმობილიარე“ (ს/კ: 400324056).

შესაბამისად, სააგენტომ განახორციელა სამშენებლო პროექტის ფარგლებში დასაკმაყოფილებლ პირთა სიის ფორმირება. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება (27 პირი), რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღსანიშნავია, ასევე, რომ ზოგიერთმა პირმა, რომლებიც აკმაყოფილებდნენ მითითებულ კრიტერიუმებს, სიის ფორმირების პროცესში, სააგენტოს შესაბამის თანამშრომლებთან სატელეფონო კომუნიკაციისას, უარი განაცხადეს წარმოდგენილი განკარგულებით გათვალისწინებულ კონკრეტულ სამშენებლო პროექტში დაკმაყოფილებაზე.

წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას აცხადებს ქ. თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩა N4-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი 13/035) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.05.013.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4552 კვ. მ მიწის ნაკვეთის განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის და შპს „იმობილიარესთვის“ (ს/ნ: 400324056) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაცემის საკითხსა და მათთან დასაღებ ხელშეკრულების პროექტზე, განკარგულების დანართი N2-ის შესაბამისად.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N38-ში არსებული 1168 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.015.022) და ქალაქი თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებული 1 155 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.014.440) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი

თამარ მელიქიშვილის მოახსენებით, შოთა გამეზარდაშვილის წარმომადგენელმა დავით ბერულავამ 2021 წლის 5 აპრილს განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა მისი მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. N2ა-ში არსებული 904 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მასზე განთავსებული N1 შენობა ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.038.022) ადგილმონაცვლეობა. 2022 წლის 9 ივნისს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე N01.10.13.038.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცა ლიდა გამყრელიძეს - შოთა გამეზარდაშვილის მეუღლეს.

თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ არქიტექტურის 2020 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებით, N01.10.13.038.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრეს უარი ეთქვა მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობების დადგენაზე. საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნებით ლიდა გამყრელიძის საკუთრებაში არსებული N01.10.13.038.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ღირებულება განისაზღვრა 1 607 312 ლარით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.19.36.015.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ საორიენტაციოდ შეადგინა 1 211 216 ლარი, ხოლო N01.14.16.014.440 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ღირებულება განისაზღვრა (საცხოვრებელი ზონა 2-ის გავრცელებით) 615 615 ლარით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ლიდა გამყრელიძე თანახმაა გადაიხადოს მიწის ნაკვეთებს შორის სხვაობა 220 000 ლარის ოდენობით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 28 ივნისის N22.973.1066 განკარგულებით საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11 367 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.685) და 1 100 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.443) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, ტარიელ გიორგაძემ 2022 წლის 15 მარტს განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და ითხოვა ქალაქ თბილისში ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩა N28-ში მდებარე 3 284 კვ.მ მიწის ნაკვეთის N01.14.03.040.314 ადგილმონაცვლეობა. აღნიშნულ უძრავ ქონებაზე 2021 წლის 23 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის ფერდიდან განხორციელდა ნაყარი მიწის მასის ჩამოშლა, რასაც მოჰყვა ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება. მოსახლეობამ, კოლექტიური განცხადებით მიმართეს მერიას და მოითხოვეს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შეწყვეტა და მის ნაცვლად სარეკრეაციო სივრცის მოწყობა. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ, ტარიელ გიორგაძისთვის ადგილმონაცვლეობის მიზნით შეთავაზებულ იქნა ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11 367 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.685) და 1 100 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.443) მიწის ნაკვეთები. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით ტარიელ გიორგაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 6 968 648 ლარი. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.72.14.009.685 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ღირებულება განისაზღვრა 6 069 978 ლარით, ხოლო N01.72.14.009.443 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ საორიენტაციოდ შეადგინა 346 500 ლარი. ქონებებს შორის ფასთა სხვაობას წარმოადგენს 552 170 ლარი. ამასთან, ვაკის რაიონის გამგეობის მიერ გაწეული ხარჯები, რომელიც შეადგენს 631 932,32 ლარს, გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტისა და ტარიელ გიორგაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების საბაზრო ღირებულებებს შორის არსებული ფასთაშორის სხვაობის გაანგარიშებაში. მიწის ნაკვეთებს შორის არსებული სხვაობა არის 80 000 ლარი, რომლის გადახდაზეც თანახმაა დაინტერესებული პირი.

მომხრე-6 თავი შიკავა - საბა ბუაძემ. ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება III მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ 1412 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.13.005.099) და ქ. თბილისში, სოფელ დილომში არსებული 7800 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.161) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, ლაშა ჯიქიამ (პ/ნ 01017015106) განცხადებით მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების:ქ. თბილისში, თრიალეთის ქუჩა, N12ბ-ში არსებული 1300 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.033) და ქ. თბილისში, თრიალეთის ქუჩა N12-ში არსებული 4059 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:N01.19.20.026.034) ადგილმონაცვლეობა. როგორც მოქალაქე თავის განცხადებაში აღნიშნავს, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარეობს ვარკეთილის მასივის ტერიტორიაზე, რომელზეც იგეგმება ცენტრალური პარკის მოწყობა. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილის შესაბამისად, თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგად, აღნიშნული ტერიტორიის ერთერთი მთავარი მიზანია ავარიული განაშენიანების ჩანაცვლება და საჯარო სარეკრეაციო არეალების კონსოლიდაცია. ამისათვის წარმოიშვა ე.წ საუბნო ცენტრალური პარკის იდეა, რაც შეასრულებს უბნის გამაერთიანებელ სარეკრეაციო და

ამავე დროს ყველაზე მოსახერხებელ საფეხმავლო კავშირის ფუნქციას. ლაშა ჯიქას საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები კი მდებარეობს დაგეგმილი სარეკრეაციო სივრცის ფარგლებში (ცენტრალური პარკის) და მათი განვითარება უნდა განხორციელდეს არასამშენებლო ფუნქციით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მონაცვლეობასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ასევე გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის და სამგორის რაიონის გამგეობის დადებითი წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმადაც გამგეობა და სამსახური თანახმაა განხორციელდეს მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობა.

მოქალაქისთვის შეთავაზებული იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი მიწის ნაკვეთი: ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება III მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებული 1412 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.11.13.005.099) და ქ. თბილისში, სოფელ დიდომში არსებული 7800 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.161).

წარმოდგენილი პროექტით განიხილება ლაშა ჯიქას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება III მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებული 1412 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.13.005.099) და ქ. თბილისში, სოფელ დიდომში არსებული 7800 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.161). გადაცემა. საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 288 123 ლარით. (მოსანაცვლებელი მიწის ნაკვეთების ფასთა შორის სხვაობა) .

მომხრე-6 თავი შიკავა - საბა ბუაძემ. ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქ. თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებული 6883 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.158) და ქ. თბილისში, დიდმის საცდელ მეურნეობაში არსებული 2846 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.682) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, შპს „ეიჩ ემ უაი“-ს (ს/ნ 206321791) წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა, თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა მის საკუთრებაში არსებული „ქ.თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებული 17547 კვმ (საკ/კოდი: 01.72.14.009.154) მიწის ნაკვეთის გაცვლა. კომპანია, მის განცხადებაში აღნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთზე გავრცელდა სატყეო ზონა და მათ შეუზღუდათ მშენებლობის უფლება.

შპს „ეიჩ ემ უაი“-სთვის, ადგილმონაცვლეობის მიზნით შეთავაზებული იქნა თბილისში, დიდმის საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებული 6883 კვმ მიწის ნაკვეთი (საკ/კოდი: 01.72.14.009.158) და 4200 კვმ (საკ/კოდი: 01.72.14.009.660) მიწის ნაკვეთი, თუმცა კომპანიამ მოითხოვა №01.72.14.009.158 და №01.72.14.009.682 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, რომელზე ფუნქციურ ზონად განისაზღვრებოდა საცხოვრებელი ზონა 3, ამავე დროს მოითხოვა შემოადინებული მიწის ნაკვეთების მიმდებარედ, კომპანიის საკუთრებაში არსებული №01.72.14.009.160 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებისთვის სააცხოვრებელი ზონა 3 ის მინიჭება და ფუნქციური ზონის გაუმჯობესებით მიღებული სარგებლის გამოყენება ადგილმონაცვლეობის დროს არსებული ფასთა შორის სხვაობის დასაბალანსებლად.

მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ. ვინაიდან კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ღირებულება აღემატება

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ღირებულებას, გაცვა ხდება საპრივატიზებო საფასურის გარეშე, ხოლო საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა:

№01.72.14.009.158 და №01.72.14.009.682 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება განხორციელდეს მიმდებარე არეალთან, მათ შორის, შპს „ეიჩ ემ უაი“-ს (ს/ნ 206321791) საკუთრებაში არსებულ №01.72.14.009.160 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან ერთად განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) პარამეტრებით.

მომხრე-6 თავი შიკავა - საბა ბუაძემ ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქ. თბილისში, აკადემ ქალაქის ტერიტორიაზე 6 436 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.132); ქ. თბილისში, აკადემ ქალაქის ტერიტორიაზე 4 969 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.134); ქ. თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N6ბ-ში 755 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.916); ქ. თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N6ბ-ში 102 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.917); ქ. თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N6გ-ში 549 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.236) და ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 1071 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.929) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მოხსენებელი-თამარ მელიქიძვილი

თამარ მელიქიძვილის მოხსენებით, თეიმურაზ ცინარიძემ (პ/ნ 01013027733) მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა მის საკუთრებაში არსებული, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქუჩა IV შესახვევის მიმდებარედ არსებული 735 კვმ (საკ/კოდი: №01.20.01.117.059) და 734 კვმ (საკ/კოდი: №01.20.01.117.060) მიწის ნაკვეთების გაცვლა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ №01.19.15.001.132; №01.19.15.001.134; №01.10.18.009.916; №01.10.18.009.917; №01.10.18.009.236 და №01.10.18.009.929 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით, თეიმურაზ ცინარიძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდებოდა ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 1(სზ-1), ნაწილზე სატყეო ზონა, მოგვიანებით ორივე ნაწილზე გავრცელდა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა(ლსზ) და დღეის მდგომარეობით, ახალი გენ.გეგმის მიხედვით ვრცელდება სატყეო ზონა.

ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და „მწვანე ქალაქის: კონცეფციით განსაზღვრული ამოცანით შესრულების მიზნით, მნიშვნელოვანია გამწვანებელი ტერიტორიების არსებული სარეკრეაციო სივრცეების შენარჩუნება და ახლის შექმნა. ვინაიდან მოქალაქის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები წარმოადგენს აქტიურად გამწვანებულ სივრცეს და ვრცელდება სატყეო ზონა, ადგილმონაცვლეობა ხელს შეუწყობს დედაქალაქის სატყეო ტერიტორიის შენარჩუნებას და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მომხსენებელის თქმით, თეიმურაზ ცინარიძემ წარმოადგინა როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ასევე მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საერთაშორისო კომპანია Cushman @wakefield"-ის მიერ მომზადებული დასკვნები საბაზრო ღირებულებების დადგენის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზ ცინარიძის საკუთრებაში არსებული 735 კვმ (საკ/კოდი: №01.20.01.117.059) და 734 კვმ (საკ/კოდი: №01.20.01.117.060) მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება 11 000 აშშ დოლარით აღემატება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი, ქონებების (საკ/კოდი: №01.19.15.001.132; №01.19.15.001.134; №01.10.18.009.91; №01.10.18.009.917; №01.10.18.009.236 და №01.10.18.009.929) საბაზრო ღირებულებებს. თეიმურაზ ცინარიძე აცხადებს, რომ აღნიშნულ სხვაობასთან დაკავშირებით, მას არ ექნება არანაირი პრეტენზია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცვლა ხორციელდება საპრივატიზებო საფასურის გარეშე.

მომხრე-6 თავი შიკავა - საბა ბუაძემ, ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კრწანისის II შესახვევი, N24-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5400 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.014.209) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, შპს „ბალტიკ ინვესტმენტ გრუპის“, ბაადურ მალაზონიას და ნინო ხომტარიას წარმომადგენელმა ლევან შონიამ 2022 წლის 28 იანვარს და 21 ივნისს განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქალაქ თბილისში, ნუცა დოდობერიძის ქუჩა N8-ში არსებული 1830 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.12.003.017) და ბაადურ მალაზონიას (პ/ნ 01010004480) და ნინო ხომტარიას (პ/ნ 01017005443) თანასაკუთრებაში ქალაქ თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული 900 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.12.003.042) მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული: ქალაქ თბილისში, კრწანისის II შესახვევი, N24-ში არსებული 5400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობაში (საკადასტრო კოდი: N01.18.06.014.209). ლევან შონიას განცხადებით აღნიშნულ მიწის ნაკვეთებს მინიჭებული ჰქონდათ საცხოვრებელი ზონა 3, ხოლო დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შემდგომ კი ტერიტორიაზე გავრცელდა სატყეო ზონა, ხოლო თემატური რუკის მიხედვით გამწვანებული ტერიტორიების ფენა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მესაკუთრეების განცხადებით მათ შეუზღუდათ საკუთრებაში არსებული: ქალაქ თბილისში, ნუცა დოდობერიძის ქუჩა N8-ში არსებული 1830 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.12.003.017) და ბაადურ მალაზონიას და ნინო ხომტარიას თანასაკუთრებაში ქალაქ თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული 900 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.12.003.042) მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა. „COLLIER GEORGIA“-ს მიერ მომზადებული 2022 წლის 25 მარტის შეფასებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი შეფასდა 960 000 აშშ დოლარად, ხოლო შპს „ბალტიკ ინვესტმენტ გრუპის“, ბაადურ მალაზონიას და ნინო ხომტარიას მიწის ნაკვეთები ჯამურად 948 000 აშშ დოლარად. მიწის მესაკუთრეები თანახმა არიან გადაიხადონ მიწის ნაკვეთების ფასთა შორის სხვაობა 34 500 ლარის ოდენობით.

მომხრე-6 თავი შიკავა - საბა ბუაძემ ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქ. თბილისში, თვალჭრელიძის II შესახვევი N8-ის მიმდებარედ არსებული 2100 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.18.007.052) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, მოქალაქე სუჰეილ აიდინმა(პ/ნ 01019020070) განცხადებით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ვინაიდან მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე მდებარე ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა №5-ში (საკ/კოდი: 01.19.19.004.010) დაგეგმილია სკვერის მშენებლობა, გამოთქვა მზადყონა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებაში ადგილმონაცვლეობის საკითხის განხილვაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის და სამგორის რაიონის გამგეობის წერილები, სადაც აღნიშნავენ რომ თანხამა არიან მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ადგილმონაცვლეობასა და მის ადგილზე რეკრეაციული სივრცის მოწყობაზე.

თამარ მელიქიშვილის თქმით, სუჰეილ აიდინისთვის ადგილმონაცვლეობის მიზნით შეთავაზებული იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, თვალჭრელიძის II შესახვევი N8-ის მიმდებარედ არსებული 2100 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.19.18.007.052), მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, რაზედაც მან თანხმობა განაცხადა.

მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ და საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 7000 ათასი ლარი , მიწის ნაკვეთების ფასთა შორის სხვაობა.

მომხრე-6 თავი შიკავა - საბა ბუაძემ ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულების საფუძველზე, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, დასახლება მუხიანი, IV მიკრო/რაიონსა და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებული 117,955 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები, კერძოდ, N01.11.17.008.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 24,485 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული N1, N2, N3, N4, N5, N6 და N7 შენობა-ნაგებობები და N01.11.17.006.844 საკადასტრო ერთეულზე მდებარე 93,470 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული N1 დან N10-ის ჩათვლით შენობა-ნაგებობები .

აუქციონის შესაბამისად, შეძენილი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 23,323,170.00 ლარი, რომლის დაფარვა კომპანიის მიერ დასტურდება სააგენტოს მიერ 2019 წლის 29 ოქტომბერს გაცემული N66721 და N66722 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 22 ივნისის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე გაფორმებული შეთანხმების თანახმად, შეიცვალა ხელშეკრულების მე-3 პუნქტის თანახმად, გათვალისწინებული ინვესტიციის, კერძოდ 8,000,000.00 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით განხორციელების ვადა და ჩამოყალიბდა შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

ა) არა უგვიანეს 2022 წლის 23 სექტემბრისა - შესრულდეს საინვესტიციო ვალდებულება არა ნაკლებ 1 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით;

ბ) არა უგვიანეს 2023 წლის 23 სექტემბრისა - შესრულდეს საინვესტიციო ვალდებულება ჯამურად არანაკლებ 3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით;

გ) არა უგვიანეს 2024 წლის 23 სექტემბრისა - შესრულდეს საინვესტიციო ვალდებულება ჯამურად არანაკლებ 6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით;

დ) არა უგვიანეს 2025 წლის 23 სექტემბრისა - შესრულდეს საინვესტიციო ვალდებულება ჯამურად 8 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

კომპანიამ, 2022 წელს წერილებით მიმართა სააგენტოს და ითხოვა ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე განსავითარებელ კონცეფციაში ცვლილებების შეტანა, რიგი ობიექტური გარემოებებისა და მიზეზების გამო. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად, აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, საკუთრებაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე უნდა განახორციელოს პროექტი თანდართული შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ (ს/ნ: 405029810) კონცეფციის შესაბამისად.

თამარ მელიქიშვილმა ანიშნა, რომ კონცეფცია გულისხმობს მიწის ნაკვეთის განვითარების ორ სცენარს, რომელიც თავისი მასშტაბიდან გამომდინარე გათვლილი უნდა იყოს მთელი თბილისის მოსახლეობაზე, საერთაშორისო და ადგილობრივ ტურისტებზე. მიუხედავად კონცეფციაში გაწერილი სცენარებისა, რომელიც მეტნაკლებად პასუხობს მუნიციპალიტეტის მიერ დასმულ ამოცანებს და მოიცავს შესაბამის ფუნქციებს, მნიშვნელოვანია, რომ ობიექტის განვითარება ფუნქციურად და შინაარსობრივად, მეტად შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტისა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია მიწის ნაკვეთზე განისაზღვროს ფუნქციურად განსავითარებელი ისეთი კატეგორიები, რომლის შესრულების ვალდებულებაც დაეკისრება აუქციონში გამარჯვებულს.

კომპანიის მიერ წარმოდგენილ განცხადებაშიც გამოკვეთილია ანალოგიური გარემოებები, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ „კოლიერსის“ კვლევა რამდენიმე წლის წინაა მომზადებული და მას შემდეგ არსებითი ცვლილებები მოხდა ბაზარზე, რამაც როგორც კონკრეტულად კვლევაში განხილული სექტორების მიმართულებით, ასევე ზოგადად - ნებისმიერი სექტორული მიმართულებით არსებითი რყევები გამოიწვია და სრულიად შეცვალა პანდემიამდე არსებული ვითარება.

კომპანიის მიერ ასევე აღნიშნულია, რომ საპრივატიზაციო პირობის შესრულება უნდა დადასტურდეს დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მიერ. აუდიტორული კომპანია თავის მხრივ შეფასებებში ეყრდნობა საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტებს, ე.წ. IFRS-ს, რომელსაც როგორც მოგესხენებათ, მკაცრი სტანდარტები აქვს და არ ითვალისწინებს რამის შეფასებას ვარაუდებით ან მსჯელობის საფუძველზე. შეუძლებელია აუდიტორულმა კომპანიამ ვალდებულების შესრულება დაადასტუროს შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ (ს/ნ: 405029810) მიერ მომზადებული კვლევის მიხედვით, ვინაიდან იგი სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტი და ბაზრის კვლევაა, იგი თავისი შინაარსით არ აძლევს საშუალებას კომპანიას, იმოქმედოს მკაფიოდ გაწერილი შინაარსის ფარგლებში და ამგვარად დაადასტუროს საპრივატიზებო პირობის შესრულება. გარდა აღნიშნული დასკვნისა, ასევე საჭიროა დამატებით დაზუსტება, თუ რა ჩაითვლება ათვისებულ ფართობად. ხელშეკრულება და კონცეფცია საჭიროებს მეტი სიცხადეს და დამატებით განმარტებებს, რაც მიზანშეწონილია, მხარეთა შორის ორმხრივად ხელმოწერილი ცვლილების შეთანხმებით განხორციელდეს.

კომპანიის მიერ დამატებით განსაზღვრულია რიგი გარემოებები, რომელიც დამატებით განაპირობებს ხელშეკრულების ცვლილებას. ცვლილებით, აუქციონში გამარჯვებულს ევალება, საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის სრულად ათვისება და მიწის ნაკვეთის განვითარება ზემოაღნიშნული პირობების შესაბამისად. ამასთან, მიწის ნაკვეთის სრულად ათვისების ვადა განსაზღვრულია არაუგვიანეს 2025 წლის 23 სექტემბრისა, რაც ასევე მოიცავს ინფრასტრუქტურის მშენებლობის დასრულებასა და ექსპლუატაციაში მიღებას.

აუქციონში გამარჯვებულმა არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა უნდა დაასრულოს N01.11.17.008.031 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე განთავსებული ადმინისტრაციული შენობის ნაწილისა და მისი მიმდებარე ღია სივრცეების მოწყობა და რეაბილიტაცია და ამავე ვადაში უზრუნველყოს სულ მცირე ხელშეკრულების დანართი N2-ით გათვალისწინებული N1, N4 და N5 სავალდებულო

იქიდან გამომდინარე, რომ მოქმედი ხელშეკრულებით მკაფიოდ არ არის განსაზღვრული შესრულებული ვალდებულებების დადასტურება, აღნიშნული ცვლილებით შესაძლებელი ხდება, თითოეული ვალდებულების დადასტურება, კერძოდ ვალდებულების შესასრულებლად გაწერილი თითოეული ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 3 თვის ვადაში, აუქციონში გამარჯვებულმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და მხარეთა შორის წინასწარ წერილობით შეთანხმებული, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტებული აუდიტორული კომპანიის/აუდიტორის მიერ გაცემული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა .

მნიშვნელოვანია განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ ვალდებულების დადასტურების ვადაც, რაც გულისხმობს, რომ აუქციონში გამარჯვებულის მიერ დასკვნის წარმოდგენის შემდგომ არაუმეტეს 1 თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ სრულად ან ნაწილობრივ უნდა დაადასტუროს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ნაკისრი ვალდებულებების დადასტურების შემდგომ, აუქციონში გამარჯვებული პირი უფლებამოსილია უძრავ ქონებაზე სრულად მოხსნას მოიხსნება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული შეზღუდვა/ვალდებულება.

რაც შეეხება, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას, იმ შემთხვევაში თუ აუქციონში გამარჯვებული დაარღვევს ხელშეკრულების იმ მუხლებს, რომლებიც ეხება მიწის ნაკვეთის ფუნქციურად განვითარებას (ხელშეკრულების 2.1, 2.2, 2.3, 2.4 და 2.5 პუნქტები), აუქციონში გამარჯვებულს დაეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების სრულად შესრულებამდე, მაგრამ ჯამში არანაკლებ სრული საპრივატიზებო საფასურის 0.05%-ისა. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ, აუქციონში გამარჯვებულმა ერთდროულად დაარღვია ხელშეკრულების მე-9 მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები, პირგასამტეხლო განისაზღვრება იმ რაოდენობით, რომელიც თანხობრივად იქნება უფრო მეტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება საკითხი ზემოაღნიშნულ ცვლილებებზე თანხმობის გაცემის თაობაზე.

მომხრე-6 თავი შიკავა - საბა ბუაძემ ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ქარხანა „მიონის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარე 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.13.02.003.052) ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „დიდუბე XXI“-ს (ს/ნ. 202063783) (უფლებამონაცვლე: შპს „მაქსტერმი“, ს/ნ. 237978113) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 2 ივნისის №ე-25-39-658 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

მომხსენებელი-თამარ მელიქიძვილი

თამარ მელიქიძვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „დიდუბე XXI“-ს (ს/კ: 202063783) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 2 ივნისის №ე-25-39-658 ოქმის საფუძველზე, აუქციონის წესით, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ქარხანა მიონის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 444 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.13.02.003.052).

ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი შეზღუდვით - „მშენებლობის უფლების გარეშე“. ქონების მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს შპს „მაქსთერმი“ (ს/კ: 237978113), შესაბამისად, მყიდველის მხარეს ხელშეკრულებაში დღეისათვის წარმოადგენს აღნიშნული კომპანია. ამასთან, ქონება სხვა მიწის ნაკვეთებთან გაერთიანების შედეგად, დღეისათვის რეგისტრირებულია №01.13.02.003.205 საკადასტრო ერთეულის სახით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მყიდველმა 2022 წლის 18 იანვრს განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ქონების ნაწილზე (32 კვ.მ. - მყიდველის მიერ წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად) არსებული შეზღუდვის („მშენებლობის უფლების გარეშე“) გაუქმება, მასზე კიბის უჯრედის და ლიფტის მოწყობის მიზნით. მყიდველის მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული ქონებაზე არსებული „მშენებლობის უფლების გარეშე“ პირობის გაუქმება. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 18 მარტის №001655522 დასკვნის შესაბამისად, ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (59 052 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის „მშენებლობის უფლების გარეშე“ შეზღუდვისგან ნაწილობრივ (32 კვ.მ. - წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად) თავისუფალ მდგომარეობაში დირეგულაციებს შორის სხვაობის დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებული თანხა შეადგენს 21 457 ლარს. მყიდველმა განაცხადა თანხმობა ქონების ნაწილზე (32 კვ.მ. - წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად) „მშენებლობის უფლების გარეშე“ პირობის გაუქმების შემთხვევაში, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 18 მარტის №001655522 დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობის გადახდის თაობაზე.

მომხრე-6 თავი შიკავა - საბა ბუაძემ ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყვეტილება საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2009 წლის 26 ოქტომბრის №299 ოქმით გათვალისწინებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი-თამარ მელიქიშვილი

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2009 წლის 26 ოქტომბრის №299 ოქმის საფუძველზე, შპს „ოლიმპი თბილისი +“-ს (ს/კ: 200240122) საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე №3ა-ში (ყოფილი: ჯიქიას ქუჩა, №3) მდებარე, 364 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.14.05.007.037, შემდგომში: ქონება). ოქმის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი შეზღუდვით - „მშენებლობის უფლების გარეშე“. ქონების მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს ფ/პ ავთანდილ გვასალია (პ/ნ: 62002002013).

მომხსენებლის განმარტებით, ქონების შემქმნმა 2022 წლის 02 მაისს განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ქონებაზე არსებული შეზღუდვის გაუქმება, ქონების შემდეგი პარამეტრების ფარგლებში განვითარების პირობით:

ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)

განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1): 0.6

განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2): 2.1

გამწვანების კოეფიციენტი (კ-3): 0.2“.

თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს. სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს. მათი წერილობითი კორესპონდენციის თანახმად, შესაძლებლად იქნა მიჩნეული ქონებაზე არსებული „მშენებლობის უფლების გარეშე“ პირობის გაუქმება. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 20 აპრილის №002534822 დასკვნის შესაბამისად, ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (72 800 ლარი) და აუქციონის ჩატარების დროისათვის ამავე ქონების „მშენებლობის უფლების გარეშე“ შეზღუდვისგან თავისუფალ მდგომარეობაში, ქონების შემძენის 2022 წლის 02 მაისის №19/0122122717-61 განცხადებაში მითითებული პარამეტრებით (ფუნქციური ზონა: სსზ-1; კ-1: 0.6; კ-2: 2.1; კ-3: 0.2) განვითარების შესაძლებლობით არსებულ ღირებულებებს (109 928 ლარი) შორის სხვაობის (37 128 ლარი) დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებული თანხა შეადგენს 239 309 (ორას ოცდაცხრამეტი ათას სამას ცხრა) ლარს.

ქონების შემძენმა, განცხადებით თანხმობა განაცხადა ქონებაზე „მშენებლობის უფლების გარეშე“ პირობის გაუქმებისა და მისი 2022 წლის 02 მაისის №19/0122122717-61 განცხადებაში მითითებული პარამეტრებით განვითარების შესაძლებლობის შემთხვევაში, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 20 აპრილის №002534822 დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობის გადახდის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2009 წლის 26 ოქტომბრის №299 ოქმის „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება:

„ქონების განვითარება შესაძლებელია შემდეგი პარამეტრების ფარგლებში: ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)

განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1): 0.6

განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2): 2.1

გამწვანების კოეფიციენტი (კ-3): 0.2“.

აღნიშნული ცვლილება ხორციელდება იმ პირობით, რომ სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში ქონების შემძენი უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 239 309 (ორას ოცდაცხრამეტი ათას სამას ცხრა) ლარის გადახდას.

მომხრე-6 თავი შიკავა - საბა ბუაძემ ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2015 წლის 1 ივლისის „პირობებითგამოცხადებული აუქციონის“ №-273-17-15618 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თამარ მელიქიშვილის თქმით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ გიორგი კვიციანიშვილს (პ/ნ 01005021424) შორის 2015 წლის 1 ივლისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №-273-17-15618 ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა შემდეგი უძრავი ქონება:

1. ქალაქ თბილისი, მასივი დიდოში, კვარტალი VI, კორპუსი 4, მიმდებარედ - 37.00 კვ.მ (ს/კ N01.13.03.033.026);

2. ქალაქ თბილისი, მასივი დიდოში, კვარტალი VI, კორპუსი 4, მიმდებარედ - 64.00 კვ.მ (ს/კ N01.13.03.033.025);
3. ქალაქ თბილისი, მასივი დიდოში, კვარტალი VI, კორპუსი 4-ის მიმდებარედ - 8.00 კვ.მ (ს/კ N01.13.03.033.027);

ხელშეკრულების „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აუქციონზე შეძენილი ქონების პრივატიზება განხორციელდა - „საზოგადოებრივი ფუნქციით განვითარების პირობით“.

თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ დღეის მდგომარეობით, ს/კ N01.13.03.033.025, N01.13.03.033.026 და N01.13.03.033.027 საკადასტრო ერთეულების მომიჯნავე მიწის ნაკვეთებთან გაერთიანების შედეგად ფორმირებულია ს/კ N01.13.03.033.055, რომელზეც რეგისტრირებულია შპს „გიდა დეველოპმენტის“ (ს/ნ 406348849), ალავერდი ხვედელიანის (პ/ნ 01004001693), იოსებ ჟორჯოლაძის (პ/ნ 01031003533), მიხეილ ჩოხელის (პ/ნ 01031004441), ნინო გრძელიშვილისა (პ/ნ 01006013848) და ქეთევან არჩვაძის (პ/ნ 01029002105) თანასაკუთრების უფლება.

შპს „გიდა დეველოპმენტის“ (ს/ნ 406348849) დირექტორმა განცხადებით მომართა სააგენტოს და მოითხოვა ქონებაზე არსებული შეზღუდვის („საზოგადოებრივი ფუნქციით განვითარების პირობით“) გაუქმება იმ დასაბუთებით, რომ აღნიშნული შეზღუდვის არსებობის რაიმე საფუძველი დღეის მდგომარეობით არ არსებობს.

მყიდველის მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, შესაძლებლად იქნა მიჩნეული ქონებაზე არსებული „საზოგადოებრივი ფუნქციით განვითარების პირობით“ პირობის გაუქმება. ამავე წერილის შესაბამისად, ტერიტორიის სამშენებლო განვითარება საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილის შესაბამისად, ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (28 629 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის „საზოგადოებრივი ფუნქციით განვითარების პირობით“ შეზღუდვისგან თავისუფალ მდგომარეობაში ღირებულებებს შორის სხვაობა დღევანდელი მდგომარეობით არ ფიქსირდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევა 2015 წლის 1 ივლისის „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ Nე-273-17-15618 ხელშეკრულების „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული - „საზოგადოებრივი ფუნქციით განვითარების პირობით“ პირობის გაუქმება.

მომხრე-6 თავი შიკავა - საბა ბუაძემ ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.041) და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 98 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის“ (ს/ნ: 203842333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროების“ (ს/ნ: 203842333) წარმომადგენელმა გოჩა გოგიშვილმა (პ/ნ: 01026006052) განცხადებით მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.041) და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 98 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.042) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო

რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროების“ საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ში მდებარე 3089 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით 16653 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.004).

მომხსენებლის განმარტებით, მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. სააგენტოს წარედგინა აღნიშნული სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ დოკუმენტი N5941448 (ოქმი N16; 19.05.2022წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.041) და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 98 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.042) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა 32 160 ლარით.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N24-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 337 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ: 01.14.11.030.044) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნამუსთვის“ (ს/ნ: 405269301) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, შპს „ნამუს“ (ს/ნ: 405269301) დირექტორმა, ელექტრონული განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N24-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 337 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ: 01.14.11.030.044) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 6 წლის ვადით. აღნიშნული კომპანია 6 წლის ვადით იჯარით ფლობს ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N24-ში მდებარე უძრავ ქონებას (ს/კ: 01.14.11.030.002.01.026), 22.11.2021წ. გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. პასუხად სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარედგინილი წერილით, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია მოთხოვნილი 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვა, ღია კაფის მოწყობის მიზნით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 (ხუთი) წლის ვადით, ნაცვლად მოთხოვნილი 6 წლისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2160 (ორი ათას ას სამოცი) ლარის ოდენობით.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (ნაკვეთი N04/012, საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

თამარ მელიქიშვილის თქმით, ნაძალადევის რაიონის გამგეობის გამგეობის წერილებით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (ნაკვეთი N04/012, საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, (9 პირს (9 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები კერძოდ: დავით მოდებაძე (პ/ნ 01001025533) დაკავებული ფართი - 42.78 კვ.მ; დავით ჩხარტიშვილი (პ/ნ 01004005612) დაკავებული ფართი - 19.38 კვ.მ; ევა ჯოლოსაძე (პ/ნ 51001026441) დაკავებული ფართი - 35.83 კვ.მ; ლელა გურგშიძე (პ/ნ 53001034974) დაკავებული ფართი - 53.70 კვ.მ; მაია გიორგაძე (პ/ნ 01021014412) დაკავებული ფართი - 38.70 კვ.მ; მაია სანაკოვეი (პ/ნ 01019006799) დაკავებული ფართი - 19.28 კვ.მ; ნათია ცხადაძე (პ/ნ 18001022528) დაკავებული ფართი - 40.51 კვ.მ; ნუნუ ჯაგუნაძე (პ/ნ 48301028230) დაკავებული ფართი - 37.41 კვ.მ; სოფიო ბიჩელაშვილი (პ/ნ 01024069903) დაკავებული ფართი - 39.04 კვ.მ

აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 326.63 კვ.მ ფართი

შსს-ს ცნობებით, გამგეობის წერილით და ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სანზონა 2“ კრების ოქმებით დასტურდება, რომ შემოაღნიშნული პირების მითითებულ მისამართზე ცხოვრობენ 2012 წლიდან.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N104-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.105.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

თამარ მელიქიშვილის თქმით, ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N104-ში, მესამე სართულზე მდებარე 24.25 კვ.მ ფართის ბინა N20-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.105.01.020) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე თორნიკე ღვინიაშვილის (პ/ნ 01027072818), რომელიც შსს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოცემებული ცნობებით, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ფლობს აღნიშნულ ფართს.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალას მიმდებარედ არსებული 461 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.16.23.188) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თამარ მელიქიშვილის თქმით, ქალაქ სოფელი თხინვალას მიმდებარედ არსებული 461 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N72.16.23.188) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მაკა ჩიკვილაძეს (პ/ნ: 01011043474).

მომხსენებლის განმარტებით 2022 წლის 10 ივნისს თხინვალას დასახლებაში გაიხსნა საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის სახელობის სკვერი და სკვერის გახსნის დროს თბილისის მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გიორგი ანწუხელიძის ოჯახს, თხინვალას დასახლებაში, სადაც ის გაიზარდა გადაეცეს აღნიშნული მიწის ნაკვეთი.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილის ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N112-ში მდებარე 44 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.11.023.015) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

თამარ მელიქიშვილის თქმით, ვაკის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილის ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N112-ში მდებარე 44 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.11.023.015) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით.

მომხსენებელმა განმარტებით შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე ზაალ გაბაშვილი დაახლოებით 20 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ მოქალაქე ზაალ გაბაშვილი (პ/ნ: 01008031358) 20 წელიზე მეტია, მეუღლესთან ერთად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

როგორც თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N112-ში მდებარე 44 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.11.023.015) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღირიცხა ქალაქ თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის 2010 წლის 3 თებერვლის N06-8/997 წერილის საფუძველზე. აღნიშნული ფართი წარმოადგენდა შპს „საბინაო კომუნალური მომსახურების სერვის ცენტრი ბაგები“-ის ბალანსზე რიცხულ 44 კვ.მ უძრავ ქონებას. ამ ეტაპზე, მითითებული 44 კვ.მ უძრავი ქონების მდებარეობა დაუზუსტებელია.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N101ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.025.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, ისნის რაიონის გამგეობამ, იშუამდგომლა ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N101ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.025.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, დანართი N1-ში მითითებულ პირთათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხი და მათთან დასადები ხელშეკრულების პროექტი, ამ განკარგულების დანართი N2-ის შესაბამისად. მოქალაქეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. მითითებულ მოქალაქეებს, 5 პირს (ოჯახს) საერთო ჯამში გადაეცემათ - 260.27 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ ეს პჯახები 2002-2005 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N56/ ვაჟა-ფშაველას გამზირი, I კვარტლის კორპუს N17-ში მდებარე 12.51 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.03.009.006.01.003) და 19.58 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.03.009.006.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N56/ვაჟა-ფშაველას გამზირის I კვარტლის N17 კორპუსი, 1 სართული, ბინა N3-ში მდებარე 12.51 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.03.009.006.01.003) და ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N56/ვაჟა-ფშაველას გამზირის I

კვარტლის N17 კორპუსი, 1 სართული, ბინა N7-ში მდებარე 19.58 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.03.009.006.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე გიორგი კურტანიძეს (პ/ნ: 57001030796), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე გიორგი კურტანიძე (პ/ნ: 57001030796) დაახლოებით 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე დაახლოებით 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცის I შესახვევის N5-ში არსებული 56.23 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.026.027.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცის I შესახვევის N5, 2 სართულზე მდებარე 56.23 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.11.026.027.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ასმათ ნებიერიძეს (პ/ნ: 01014001233) , რომელიც შსს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით 1987 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, დანართი 1-ში მითითებულ პირთათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. მოქალაქეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით (ჯამური ფართობი: 35.49კვ.მ).

შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობებით დასტურდება, რომ მოქალაქეები 2001 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე;

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გლდანის მე-3 მიკრორაიონის კორპუს N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.033.01.019) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გლდანის მე-3 მიკრო/რაიონის კორპუს N13-ში, 35.46 კვ.მ ფართის ბინა N19-ი (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.033.01.019) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ზეინაბ ჰაპიაშვილისთვის (პ/ნ 01002022580) , რომელიც შსს-ს ცნობით, ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით და გამგეობის წერილით დგინდება, რომ ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 1995 წლიდან.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირის მე-5 კვარტლის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.35.004.017.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი მე-5 კვარტლის კორპუს N3-ში, მერვე სართულზე მდებარე 47.40 კვ.მ ფართის ბინა N23-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.35.004.017.01.023) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ირაკლი გახარია (პ/ნ 01029012175) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს-ს ცნობით დგინდება, რომ ირაკლი გახარია ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 10-15 წელია, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ირაკლი გახარია ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2008 წლიდან.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩაზე კორპუსი N33-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.046) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩაზე, კორპუსი N33-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.046) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები, საერთო ჯამში 110,92 კვმ ფართი, საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს (2 ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ეს ოჯახები 2011 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის I ჩიხი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, სამგორის რაიონის გამგეობის წერილით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის I ჩიხი N14-ში, მეორე სართულზე მდებარე 48.59 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, მოქალაქე მამუკა სეხნიაშვილისთვის (პ/ნ 01033003457) საკუთრებაში გადაეცემასთან დაკავშირებით, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ მამუკა სეხნიაშვილი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2011 წლიდან.

მომხრე-7 ანა გოგოლაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხელაძე